

ახტარას უნიკადური კურორტი არაბებს \$1,53 მილიონად მიყიდეს



პროექტი „50 ქონება შენი სასტუმროსთვის ფარგლებში“ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უნიკადური ბარნეოლოგიური კურორტი ახტარა ედექტრონურ აუქციონზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ 3 760 000 დარად

(\$1,53 მილიონი) გაყიდა.

აუქციონში გამარჯვებულად შპს „გლობალ ვიქტორი ჯეორჯია“ გამოვლინდა. როგორც [regnum](#)– ი იუწყება, ეს კომპანია არაბთა გაერთიანებული საამიროების კომპანიის Global Victory Investments Limited–ის შვილობილი კომპანიაა.

შპს „გლობალ ვიქტორი ჯეორჯია“ 12 მილიონის ინვესტიციის განხორციელებას გეგმავს და შესყიდურ ტერიტორიაზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 120 ნომრიანი სასტუმრო-კომპლექსი მოაწყობს.

ახტარა საქართველოში ტარახით სამკურნალო ერთადერთი კურორტია და მას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან სტუმრობენ, მათ შორის ყაზახეთიდან, აზერბაიჯანიდან, ავსტრიიდან და გერმანიიდან. ახტარა მდებარეობს ქარაქ გურჯაანში. კურორტის სამკურნალო ფაქტორს განაპირობებს ფსევდოვუდკანური ტარახი, რომელსაც იყენებენ აბაზანებისთვის და აპრივაციებისთვის.

ტურისტური ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით პროექტის „50

ქონება შენი სასტუმროსთვის” ფარგლებში ეს უკვე რიგით მეოცე გაყიდვრი ობიექტია.

პროექტის ფარგლებში ჯამში გაყიდვრია 57 მიღიონ დარბე მეტი ღირებუდების უძრავი ქონება, ხოლო სასტუმროების ასაშენებრად განსახორციელებერი ინვესტიციის მოცუდობა 121 მიღიონზე მეტს შეადგენს.